განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“

განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გამოყონ ის შენობა-ნაგებობა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ამ მიზნით საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაუთმონ იგი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნული ნორმის შესრულების მიზნით, განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის გამოყოფა (განსაზღვრა) საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

ბ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორ-მატიულ აქტებთან.

გ) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

დ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ე) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე

პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

2020 წლის ----- სექტემბერი, ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით გამოიყოს ბათუმის საზაფხულო თეატრის შენობა, მდებარე ქალაქ ბათუმის ბულვარში.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შენობაში საარჩევნო ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება განხორციელდეს იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ შენობაში განსახორციელებელ (ჩასატარებელ) კულტურულ და სხვა ღონისძიებებს, რისთვისაც N79-ე ბათუმის საოლქო-საარჩევნო კომისიას და საზაფხულო თეატრის ადმინისტრაციას ეთხოვოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა.

3. წინამდებარე განკარგულების შესახებ ეცნობოს N79-ე ბათუმის საოლქო-საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე